საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/102 "17" ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. ცეცხლაძის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვალს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. ნარგიზ ცეცხლაძე არ იქნეს გამწესებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ვანის მუნიციპალიტეტში სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ხონის მუნიციპალიტეტში სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, აბაშის მუნიციპალიტეტში სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ხობის მუნიციპალიტეტში ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ქედას მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლისა და შუახევის მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მის.: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე